

C O N T E N T S

- Our First Magazine
- Congratulations
- Georgian Language
- The famous people's opinions on Georgian Language and Alphabet
- King Parnavaz
- Tbilisi
- A Happy Easter!
- Easter in Germany
- My school
- Interview
 - Tata Giorgobiani (Grade XII)
- Imagination
 - The Sun
 - Eagle and Hawk
 - Buchi
 - Improve your English
 - Friendship
- My Childhood Dreamland
- Train Your Brain!
- Do you know, that . .
- Crossword

EDITOR-IN-CHIEF:

Keti Lomidze

EDITOR:

Tina Ugulava

EDITORIAL BOARD:

Erekle Bagrationi, Andro Dadiani, Gogla Kovziridze, Andro Kurtskhalia, Dadi Phangani

DESIGNER:

Tina Chaladze

CORRECTORS:

Elene Berishvili, Giorgi Gogilidze, Irakli Phkhakadze, Lizi Kananashvili, Nini Kurtsikashvili, Nika Shakhovi

TECHNICAL EDITOR:

Nutsa Gholodze

COVER PHOTO BY:

Taso Ugulava (Grade VIII)

Many thanks to the Head of English Language Department, **Mrs. Manana Bakradze**, for helping and supporting us.

ADDRESS:

28, L. Asatiani St. Tbilisi
 Authorized School 6
 Tel: 214 53 59
 info@ meeqvsesaavtoro.ge

The Chief Adviser - **Mrs. MANANA EJIBIA**

Issued twice a year
Circulation - 100

Publishing House "**UNIVERSAL**"

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
 E-mail: universal@internet.ge

ჩვენი ბირკელი უზრუნავლი!

თბილისის მეექვსე საავტორო სკოლას, მოსწავლეებს, ჩვენს თანაკლასელებს ვულოცავთ შემეცნებით-გასართობი, ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ჟურნალის, "ცელქები" დაარსებას!

ვფიქრობთ, საინტერესო და მრავალფეროვანი ნომერი გეგვით. იქნებ, ეს ბევრი ჩვენგანი-სათვის ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყისიც კი იყოს. სკოლის ტრადიცია გრძელდება!
რედკოლეგია

გ ი ლ ო ტ ა ვ თ !

მინარია, საინტერესო და ჩვენი სკოლისათვის საჭირო საქმე წამოგიწყიათ. გისურვებთ წარმატებებს!
გურამ სალი

ველოდები თქვენს მოთხრობებს, ლექსებს, სურვილებს. გისურვებთ, სასწავლო პროცესი სასიამოვნო და საინტერესო იყოს!
თაბარ გუჯაბიძე

გაგვაცანით თქვენი შემოქმედება, დაგვანახეთ თქვენი შესაძლებლობები. იყავით მუდამ ასეთი მონდომებული და ხალისიანი.
ნინო აბრამიშვილი

გისურვებთ შემეცნებითი ინფორმაციის მოპოვებას, ბავშვებისათვის ახალი და საინტერესო ინფორმაციის მოწოდებას.
მაია ჭლჭუა

გვითხარით რა გინდათ, რას შეცვლიდით სკოლაში. იქნებ, ახალ საგანს დაამატებდით, გისურვებთ წარმატებებს!
მაკა ყონიაშვილი

ისაუბრეთ ლიტერატურაზე, იმსჯელეთ საგანმანათლებლო საკითხებზე.
ნათია კრიანი

ჟურნალი უნდა იყოს საბავშვო. გვითხარით, რა გაინტერესებთ, რა გინახიათ, რა გიყვართ, რაზე აპირებთ ყურადღების გამახვილებას. გისურვებთ წარმატებებს!
თათია ბობოხიძე

მაქსიმალურად გააკეთეთ ის, რაც გაინტერესებთ.
თიკო ვარდანაშვილი

გისურვებთ საინტერესო მასალის მოძიებას!
თიკო დუდაური



მასალა მოამზადა
ელენე ბერიშვილმა

OUR FIRST MAGAZINE!

Congratulations on the birth of a new cognitive and entertaining, bilingual (Georgian-English) magazine “KIDS.”

We hope our work will be interesting. Maybe it’ll be the beginning of our journalistic career.

Editorial Board

C O N G R A T U L A T I O N S !

Congratulations on publishing the “KIDS.” I’m very glad.

Guram Sali

I’m looking forward to your stories and poems. I wish you success in your activities.

Tamar Gujabidze

Just try your best. I’m sure you’ll be successful.

Tiko Vardanashvili

Wish you every success!

Tiko Dudauro

Tell us about your interests and wishes. Be always cheerful!

Nino Abramishvili

I wish you lots of interesting stories.

Maia Chochua

I’ll be glad to meet your creative and extraordinary work!! Good luck!

Maka Kochiashvili

I’d like to I read interesting articles dedicated to your school activities.

Natia Oniani


Be creative, think analytically, be truthful and never give up! Your magazine will attract attention. I wish you great success!

Tatia Bobokhidze



**Translated by:
Elene Berishvili and Lizi Kananashvili**

ქართული ენა



**„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სმათა ხავერდების და ღმერთების ენაგ.“**

ლადლო ასათიანი

მართლაც ლამაზია ქართული ენა. მდიდარია ქართული ლიტერატურა. ლიტერატურა კი არ არსებობს ანბანის გარეშე. ქართული ენა, ისევე როგორც ქართული ანბანი, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

როდის შეიქმნა ქართული ანბანი? ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. დიდი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანი ქრისტეშობამდე VII საუკუნეშია შექმნილი. ქართული დამწერლობის ყველაზე ადრეულ ნიმუშად მიიჩნევა პალესტინაში, ბეთლემის ქართულ ტაძარში აღმოჩენილი მოზაიკა.

იკური წარწერა, რომელიც 429-444 წლებით თარიღდება. ბოლნისის სიონის წარწერა 493 ან 494 წელს არის შესრულებული, მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერები კი – VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური გაიარა:

1. ძველი (V-IX საუკუნეები). ამ პერიოდის ქართული ანბანის სახეობას **ასომთავრული** ეწოდება.
2. საშუალო (IX-XI სს.). ვითარდება **ნუსხა-ხუცურული** ანბანი.
3. ახალი (XI ს-დან დღემდე). მკვიდრდება **მხედრული** ანუ **საერო** ანბანი.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქართული ანბანის შემოღებას ფარნავაზ მეფეს მიაწერს.

მასალა მოამზადეს:

თინა ჩალაძემ, ქეთევან ლომიძემ და ნუცა ღოღოძემ

GEORGIAN LANGUAGE

Georgian Language is one of the oldest living languages in the world. The exact date of the Georgian Alphabet's birth is unknown. According to the great Georgian historian Ivane Javakhishvili, the Georgian Alphabet starts its existence from the VII century B.C. The inscriptions, which were discovered in the monasteries are the oldest ones. The mosaic inscription in the Georgian Temple in Bethlehem is dated by 429-444; the inscription of Bolnisi Sioni by 493 or 494 AD and Jvari Monastery in Mtskheta by the end of VI century. The Georgian written language underwent three periods of evolution:

1. Ancient (V-IX cc.). In this period the so-called “**Asomtavruli**” alphabet was used.
2. Medium (IX-XI cc.) – “**Nuskhuri**” alphabet was developed.
3. Modern (from XIc. up to today) – “**Secular**” alphabet was strengthened and spread. The Georgian historian of XIc. Leonti Mroveli thought that the Georgian Alphabet had been established by King Parnavaz.

Translated by:

Ketevan Lomidze, Nutsa Gholodze and Tina Chaladze

და უთქვამთ ქართულ ანბანზე

X საუკუნის პოეტმა და მოაზროვნემ **იოანე-ზოსიმემ** ქართულ ენას უძღვნა ჰიმნი, რომელშიც წერს, რომ ქართული ენა ღვთიური მოვლენაა.

ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია. ჩვენი ანბანი ყველაზე სრული და უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის.

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)

ქართველთა განმანათლებელი

“ღელა-ენის” ავტორი

ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო მნიშვნელობის ენა.

ნიკო მარი (1864-1934)

ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე

ხმა კახაგონთან

„-ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
 შენ, ჩვენო ნიჭო,
 სრბოლაგ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
 ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს,
 მრუდსა და მართალს,
 მტერთა და ძმათა დაეშორდი.
 მორჩა, ყველა მოთაუდა;
 მშვიდობა უუთხარ ყველა მოკვდავთა,
 მხოლოდ შენ უკვდავს,
 მხოლოდ შენ მარადს,
 შენ – ერთს, შენ ვერ გთმობ
 სამარის კარად.
 თუ რამ მზე მწამდა,
 თუ რამ მზე მწვადა,
 უტკბილეს დღეთა,
 უტკბილეს წამთა,
 უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
 შენ, მწარე ლხინო,
 ტკბილო სევდაო,
 შენ, ყოვლის მთქმელო,
 ყოვლის არმთქმელო,
 შენ, გამირთა გამირო,
 ბრძენო ქართველო,

წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.
 ქვესკნელში მძრომო.
 ცაში მჭვრეტელო,
 ხან-ფუნჯო ჩემო. ხან-საჭრეთელო,
 შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის,
 იბერის ენავ, ენავ თამარის . . .
 შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლაგ და ფრენავ,
 დედაო ენავ, დედაო ენავ!
 დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
 მოისრას, იქნებ, ყველა ყმა, ველად,
 დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
 დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
 ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მესი,
 ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
 მხოლოდ შენ, უჭკნობს,
 შენ, ხატად ქცეულს,
 რა დრო, რა დასცემს
 შენს უკვდავ სხეულს?
 ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
 შენ, ჩვენო ნიჭო,
 სრბოლაგ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთს, შენ ვერ გთმობ
 სამარის პირთან.”

*ირაკლი აბაშიძე (1909-1992)
 პოეტი – აკადემიკოსი*

*მასალა მოამზადეს:
 თინა უგულავამ, ნინი კურციკაშვილმა და ერეკლე ბაგრატიონმა*

THE FAMOUS PEOPLE’S OPINIONS ON GEORGIAN LANGUAGE AND ALPHABET

Ioane – Zosime, a poet and thinker of X century, dedicated an anthem to the Georgian Language. It was called the devine phenomenon.

Our alphabet is the simpliest and the most complete among all alphabets.

*Jacob Gogebashvili (1840-1912)
 The author of “Deda-Ena”*

Georgian Language is the language which is widely known in the world.

*Niko Mari (1864-1984)
 Linguist, historian, orientalist*

**Translated by:
 Erekle Bagrationi, Nini kurtsikashvili and Tina Ugulava**

მეთე თაბნაჯაზი



ფარნავაზი იყო იბერიის პირველი მეფე. იგი მეფობდა ძვ.წ. III საუკუნეში. მის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირებენ ფარნავაზთა დინასტიის დაარსებას და საქართველოს გაერთიანებას. ფარნავაზი იყო ქართლის მამასახლისის, სამარას ძმისწული. სამარა მტერმა მოკლა, ხოლო სამი წლის ფარნავაზი დედამ მთებში გახიზნა. ფარნავაზი ჩინებული მონადირე და მეომარი გაიზარდა.

ერთხელ ფარნავაზმა ნადირობისას მღვიმეს მიაგნო და დიდი განძი აღმოაჩინა. იგი დაუკავშირდა ეგრისის მმართველს-ქუჯის და განძის გამოყენებით ძლიერი ჯარი შექმნა. მოკავშირეებმა საერთო მტრის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ფარნავაზმა მცხეთის ოთხივე ციხე დაიპყრო და მთელი ქართლი გაანთავისუფლა. მან საბერძნეთის საზღვრამდე გაილაშქრა, შემდეგ უკან დაბრუნდა და კლარჯეთიც დაიპყრო. გამარჯვებული ფარნავაზი მცხეთაში დაბრუნდა და თავი მეფედ გამოაცხადა. ასე დაარსდა ქართლის სამეფო და

მისი დედაქალაქი მცხეთა გახდა.

ფარნავაზმა ქართლის სამეფოს დედაებად არმაზი აირჩია და მთის წვერზე მისი კერპი აღმართა, აქვე ააგო არმაზის ციხე. ფარნავაზმა დაამკვიდრა ქართული ანბანი და ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. მან იმეფა 65 წელი. იგი გარდაიცვალა 92 წლის ასაკში. დაკრძალულია მეფეთა ადგილსამყოფელში-არმაზციხეში.

*მასალა მოამზადა
გიორგი გოგილიძემ*



თბილისი

საქართველოს დედაქალაქი თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. თბილისს სახელი მისი მრავალრიცხოვანი ცხელი, გოგირდოვანი წყაროების გამო დაერქვა. ლეგენდის თანახმად, ნადირობისას მეფე ვახტანგ გორგასალის მიმინო ხოხობს ეძებრა. ორივე წყალში ჩავარდა. წყარო ცხელი აღმოჩნდა და ორივე გაფუფქული ამოიყვანეს. გაოცებულმა მეფემ ამ უჩვეულო ადგილას ქალაქის აშენება ბრძანა. მშენებლობა ვახტანგ გორგასალმა დაიწყო. მისმა ძემ, დანიმ კი დაასრულა და ქართლის სამეფოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა.



თბილისში პირველი სამოსახლოები მტკვრის პირას გაჩნდა. ქალაქის ყველაზე ძველი უბანი იყო **კალა-დღევანდელი** აბანოთუბნიდან ბარათაშვილის ხიდამდე. ქალაქის ძველ ციტადელს, კალას XVIII საუკუნიდან **ნარიყალას** უწოდებენ. 1827 წელს ციხე-სიმაგრის ტყვია-წამლის საწყობს მეხი დაეცა და ციტადელის შიგნით მდგარი თითქმის ყველა ნაგებობა დაინგრა. დღეს შემორჩენილია ნარიყალას ზემო ციხე-სიმაგრის ნანგრევები. აქვეა **ქართლის**

დედის ქანდაკება (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი), რომელსაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს მტრის მოსაგერიებლად, მეორეში კი დვინით სავსე თასი მეგობრების დასახვედრად.

ნარიყალას ციხის მოპირდაპირე მხარეს, მეტეხის კლდეზე დგას **ღმრთისმშობლის ეკლესია**. 1195 წელს, შამქორის ბრძოლის წინ, მეტეხის ეკლესიაში ილოცა თამარ მეფემ. 1967 წელს ეკლესიის წინ აღიმართა თბილისის დამაარსებლის, მეფე **ვახტანგ გორგასალის ძეგლი (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი)**.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

*მასალა მოამზადეს:
ირაკლი ფხაკაძემ, ელენე ბერიშვილმა და ანდრო კურცხალიამ*

KING PARNAVAZ

Parnavaz was the first king of Iberia. He reigned in III century B.C. He was the nephew of Samara – the ruler of Kartli. Parnavaz was brought up in the mountains. He was an excellent hunter and warrior. Once, while hunting Parnavaz came to the cave with the hidden treasure. There was a real chance of forming a strong army. With the help of Egrisi ruler Kuji he managed to form a strong army. The enemy was easily defeated. Parnavaz took four fortifications in Mtskheta, united Kartli and returned to Mtskheta. Parnavaz became the king of Iberia. He founded the Kartli Kingdom. Mtskheta became the capital of Iberia. The King Parnavaz declared Georgian Language as a state language in Georgia. The Georgian Alphabet had been established by Parnavaz. The King Parnavaz reigned for 65 years. He died at the age of 92. He is buried in the Armazi Castle.

*Prepared and translated by:
Giorgi Gogilidze*



TBILISI

Tbilisi, the capital of Georgia, is one of the oldest cities. The name “Tbilisi” was given to the city for the numerous hot sulphur springs to be found there. According to the legend while hunting King Vakhtang Gorgasali’s falcon caught a pheasant and fell into the water. The spring appeared to be hot and both, the falcon and the pheasant, were boiled to death. The King ordered to build a city at that place. Vakhtang Gorgasali began to build the city. It was finished by his son Dachi, who moved the capital of Kartli from Mtskheta to Tbilisi.

The first settlements in Tbilisi appeared on the bank of the Mtkvari River. **Kala** was the oldest district of the capital (the present Abanotubani to Baratashvili Bridge). The old citadel of the city or Kala Fortress called **Narikala** since the 18th century. In 1827 the fortress was damaged by a lightning. Today, the ruins of Zeda Tsikhe are preserved. From Narikala one can see the statue of **Mother Georgia** erected in 1958 (sculptor **Elguja Amashukeli**). It’s a symbol of Georgia. It’s the figure of a woman holding a bowl of wine in her left hand and a sword in her right hand. It means we welcome friends with wine but meet our enemies with a sword.

Many events of the city’s history are related to **Metekhi Church of the Virgin**. Before the battle of Shamkori in 1195 Queen Tamar prayed in this church and blessed her warriors. In 1967 the statue of **Vakhtang Gorgasali** (sculptor-**Elguja Amashukeli**) was erected on the Metekhi Plateau.

To be continued

*Translated by:
Irakli Phkhakadze, Elene Berishvili and Andro Kurtshalia*



გილტყავთ აღდგომის მბრწყინვალე დღესასწაულს!



რების სიმბოლოდ ითვლება. კვირას კი მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს ვუგებებით.

*მასალა მოამზადეს:
ქეთევან ლომიძემ, დარი ფანგანმა და ნიკა შახოვმა*

აღდგომა გუმბანიაში

აღდგომა ქრისტიანული დღესასწაულია. ქრისტიანული ეკლესია ზეიმობს იესო ნაზარეტელის მკვდრეთით აღდგომას. აღდგომის წინა კვირას ვნების კვირას უწოდებენ. აღდგომა ყოველთვის აღინიშნება გაზაფხულზე, კვირა დღეს.

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა ქვეყანას თავისი ტრადიცია აქვს. ჩემი ბებია გერმანელია, მას ფრაუ გიზელა ჰქვია, ცხოვრობს ქ. კარსრუეში. ბებია მამბო, რომ გერმანიაში მშობლები მოხატულ ფერად კვერცხებს ბაღში მაღავენ. ბავშვი, რომელიც იპოვის კვერცხს, მშობლისაგან საჩუქარსღებულობს. ერთ-ერთი მთავარი სააღდგომო პერსონაჟი გერმანიაში არის კურდღელი, რომელსაც, ტრადიციის თანახმად, სახლში შეღებილი კვერცხები მოაქვს. შაბათ საღამოს ანთებენ კოცონს, როგორც ზამთრის გასვლისა და ყველა ცუდი მოგონებებისაგან განთავისუფლების სიმბოლოს.

*მასალა მოამზადა
ნინი ქურციკაშვილმა*



A HAPPY EASTER!



Easter is a very important holiday. It's Jesus Christ's resurrection day. Jesus was caught on Friday afternoon. He was put to a stake. Nails were driven into his hands and feet. When Jesus died, his friends put his body into a grave. But on the third day an angel came. She rolled the stone away from the tomb. Jesus was resurrected.

At Easter we all are very happy. We make Easter cake and dye eggs red. An egg is the symbol of new life and its colour is the symbol of blood that Jesus Christ shed for our sins.

*Translated by:
Ketevan Lomidze, Dadi Phangani
and Nika Shakhov*

EASTER IN GERMANY

Easter is a Christian Holiday. Christians celebrate the time when Jesus Christ died and then returned to life according to the Bible. It's always on Sunday in spring.

Every country has its own tradition of celebrating Easter. My granny is German. Her name's Phrau Gizela. She lives in Karsrue. Granny told me that in Germany children often go on "Easter egg hunts" to find eggs that have been hidden around their home by the Easter Bunny. "Easter Bunny" is an imaginary rabbit that children believe brings Easter eggs on Easter. Children get presents from their parents. In the evening families light the fire saying good-bye to winter and forgetting bad memories.



Nini Kurtsikashvili



ჩემი სკოლა



ყველას უყვარს თავისი სკოლა. არც მე ვარ გამონაკლისი. მეც მიყვარს და ვამაყობ, რომ ვსწავლობ თბილისის მეექვსე საავტორო სკოლაში. მომწონს გოთური სტილის შენობა, ვესტიბიული, კიბეები, ძველებური ხის ქანდარებიანი სააქტო დარბაზი, ეზო, მეგობრული ურთიერთობა მასწავლებლებთან. თურმე, ჩვენი სკოლის შენობა არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მდებარეობს ლადო ასათიანის ქ. №28-ში. პროექტი 1905 წელს შეუდგენია ცნობილ თბილისელ არქიტექტორს ალექსანდრე ოზეროვს. ამავე წელს აქ მუშაობა დაიწყო თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზიამ. გიმნაზიაში ისწავლებოდა: საღვთო რჯული, უც-

ხო ენები, საბუნებისმეტყველო საგნები, ხელოვნება, კალიგრაფია და ხატვა. მოსწავლეები გიმნაზიაში ცხოვრობდნენ.

სკოლები იცვლებოდა, სწავლა გრძელდებოდა. 2011 წლიდან კი ამ უძველეს შენობაში თბილისის მეექვსე საავტორო სკოლამ განაახლა მუშაობა. ვეცდებით, გავაგრძელოთ ძველი ტრადიციები და ღირსეულად ვატაროთ მეექვსე საავტორო სკოლის მოსწავლის სახელი.

მასალა მოამზადეს:

ნუცა ღოღოძემ და ღიზი ქანანაშვილმა

MY SCHOOL


I love my school. I'm proud of being a pupil of Tbilisi Authorised School 6. I like everything here – the old Gothic building, vestibule and wide staircase, the huge, two-storey high hall with the old wooden boxes and balconies, yard, friendly relations with teachers.

My school is considered to be an architectural monument. The project was carried out in 1905 by the famous architect Alexander Ozerov. It was the Women's Gymnasium 3. The following subjects were taught: Religion, Languages, Natural Sciences, Art, Calligraphy and Drawing. The pupils lived in the dormitory.

For more than a century the building used to be the educational institution. The name of the school has been changed several times. In 2011 Tbilisi Authorized School 6 went on its work in this building. We hope we'll continue the old traditions successfully.

Translated by:

Nutsa Gholodze, Lizi Kananashvili and Ketevan Lomidze



06 ტ ე რ ვ ი უ



“შვეიცარიაში ყველაზე მეტად ქართულ ენაზე საუბარი მენატრებოდა” – გვითხრა ჩვენი სკოლის XII კლასის მოსწავლემ, თათა გიორგობიანმა.

მოგესალმებით თათა, გმადლობთ, რომ დაგვთანხმდით შეხვედრაზე. ჩვენი გაცნობა თქვენთან თქვენი ლექსებით დაიწყო, რომელიც ჩვენმა დამრიგებელმა, მანანა მასწავლებელმა წაგვიკითხა.

როდის დაწერეთ პირველი ლექსი?

-ზუსტად არ მახსოვს, მგონი ერთსტროფიანი ლექსი ოთხი წლის ასაკში დავწერე.

რაზე წერთ ლექსებს? დაგიწერათ ლექსი დედაზე?

-ლექსში გადმოვცემ ჩემს განცდებს. დედაზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ლექსი მაქვს დაწერილი. მოგვიანებით ლექსს მელოდიაც შევურჩიე.

დაგიბეჭდიათ სადმე თქვენი ლექსები?

-მხოლოდ მეექვსე საავტორო სკოლის ჟურნალში “მეექვსე”.

თქვენი საყვარელი ლექსი ან პოემა.

-ოთარ ჭილაძის პოემა “თიხის სამი ფირფიტა”.

ლექსების წერის გარდა რითი ხართ დაინტერესებული?

-ძალიან მიყვარს მუსიკა. ვსწავლობ ევგენი მიქელაძის სახელობის №2 ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში. მუსიკა ჩემთვის ცალკე სამყაროა, სადაც განმარტობას არაფერი მირჩევნია.

როგორც გავიგეთ, შვეიცარიაში იყავით. როგორ მოხვდით იქ?

-მადლიერი ვარ ჩვენი სკოლის მისი მეშვეობით მხვდა წილად ბედნიერება მესწავლა შვეიცარიაში.

სად ცხოვრობდით და როგორი იყო სწავლის პროცესი?

-ვცხოვრობდი ბ-ნ თომას ჰოიზერმანთან მენელორფში. ვსწავლობდი ქიუსნახტის სკოლაში. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობდი ისეთ დიდ პიროვნებასთან, როგორც ბ-ი თომასია. სხვათა შორის, ბ-ი თომასი “იმედის გმირებში” იღებდა მონაწილეობას. ამ პროექტის დასრულების შემდეგ მან პრეზიდენტის ორდენი დაიმსახურა. სკოლაში სიხარულით მივდიოდი, რადგანაც იქ სწავლისათვის საუკეთესო გარემო იყო შექმნილი. გარდა ამისა, მოხვდი მუსიკალურ ჯგუფში და გუნდთან ერთად რამოდენიმე კონცერტშიც კი მივიღე მონაწილეობა. ჩემს კლასელებს ორი ქართული სიმღერაც ვასწავლე. აღფრთოვანებულები დარჩნენ მასწავლებლებიც და ბავშვებიც.

როგორ ატარებენ ჩვენი ასაკის ბავშვები თავისუფალ დროს?

-ჩვეულებრივად, როგორც ქართველი ბავშვები. ბევრი მსგავსებაა ჩვენს შორის.

რა გენატრებოდათ ყველაზე მეტად?

-ქართული საუბარი.

დავბრუნდეთ საქართველოში, მეექვსე საავტორო სკოლაში. XII კლასში ხართ. რა განცდაა სკოლის დამთავრება და რა არის თქვენთვის მეექვსე საავტორო სკოლა?

-სკოლის დამთავრება უცნაური გრძნობა ყოფილა.ამაზე ფიქრი ჯერ არ მინდა. მე-ექვსე საავტორო სკოლა კი ჩემთვის არის ადგილი, სადაც ბავშვი არა მხოლოდ განათლებას იღებს, არამედ სწავლობს ადამიანის, სამშობლოს სიყვარულს. ეს კი, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ ყველა მიზნების შესრულებას. შეხვედრის ბოლოს, თუ შეიძლება, ერთი ლექსი წაგვიკითხეთ.

-დიდი მადლობა, რომ მომიწვიეთ.გილოცავთ ჟურნალის დაარსებას. გისურვებთ წარმატებებს! სიამოვნებით წაგიკითხავთ ლექსს, რომელიც 2011 წელს.

როგორ დავწერო ლექსი

როგორ დავწერო ლექსი?

მე ვეკითხები თავს,

ყოველი სიტყვა, სტრიქონი

ამაოებას ჰგავს.

უცებ იღვიძებს ჩემში მიძინებული “მე,”

ცოტაც და ჩემს თავს გავიცნობ,

ემოციებს ვერ ვძლევ!

ლექსი ცოცხალი რამაა

მე მეუბნება ის,

ხოლო პოეტი-ოსტატი,

მოხუცი მთლელი ქვის.

რიტმი ჩონჩხია არსების

მერე ხორცს ასხამ კანს,

სახის ყველა ნაკვთს უსწორებ

ბნელში ძლივსდა რომ ჩანს.

ჩაუდებ დიდ და კეთილ გულს

ოცნებებს, გრძნობებს, ფიქრებს,

შენს საიდუმლოს გაუმხელ,

არ თქმას რომ ვეღარ ითმენს.

და ბოლოს სულსაც შთაბერავ,

თვით შენი სულის ნაწილს,

მთელ ემოციებს მას მისცემ,


შენს თავს შენს ლექსში ჩადვრი.

და ასი წელი რომ გავა

შენც მოგერევა რული,

იმ გადაფლეთილ ნაწილს კი

ექნება შენი გული!



*ინტერვიუ მიჰყავდათ
IV² კლასის მოსწავლეებს*



INTERVIEW

“In Switzerland most of all I missed speaking in my mother tongue” – Tata Giorgobiani (Grade XII)

Hi, Tata! Thank you for finding time and meeting us. Once our English teacher – Mrs. Manana Ejibia read us your rhymes. We liked them very much.

When did you write your first rhyme?

- I don't remember. I was very little, maybe four years old. In the beginning it was only four-line rhyme.

What kind of rhymes do you write?

- I always try to express my feelings in my rhymes. No matter what kind of rhymes they are.

Have you ever dedicated a rhyme to your mother?

- Unfortunately only once. Later I composed some music for this rhyme.

Have you ever typed your rhymes anywhere?

- In our school magazine “The Sixth.”

Your favourite rhyme or poem.

- “Three Clay Plates” by Otar Chiladze.

Tell us about your interests.

- Music is one of the greatest pleasures in my life. I feel powerful in the world of music. By the way, I study at Evgeni Mikeladze Music School No. 2.



We know that you were in Switzerland. Can you tell us how could you manage to get there?

- Thanks to our school for helping me with my trip to Switzerland.

Where did you live and study?

- I'm lucky to have lived at Mr. Tomas Hoizenman's in Menedorf. I studied at Qusnakht School. I went to school with joy because there was a great atmosphere at school. I was lucky to study at the musical class. I took part in the concert. I taught my classmates two Georgian songs.

How do Swizz teenagers spend their free time?

- Just as our teenagers do.

What did you miss most of all in Switzerland?

- In Switzerland most of all I missed speaking in my mother tongue.

Let's return to Georgia, to our school. You are going to finish the school soon, aren't you? Please, can you talk about your emotions.

- It makes me sad when I think about leaving my school and I don't want to speak about it.


Thank you very much for interesting conversation. We wish you success in your activity and personal life. Maybe you'll read us one of your poems.

- Thank you for inviting me. Congratulations on publishing the magazine. I wish you success in your activity. I'll read you one of my rhymes “How to write a rhyme” with great pleasure.

*Translated by:
Ketevan Lomidze, Tina Ugulava,
Giorgi Gogilidze and Nika Shakhovi*

ფ ა ნ ტ ა ზ ი ა

მ ზ ყ



ირიკრაჟა, მზემ ამოანათა. მისმა სხივებმა ჩემი ქალაქი გაათბო და გაანათა. მამალმაც იყივლა. მამლის ყივილზე ქალაქმა გაიღვიძა და ბავშვებიც გაახარა. განარებული ბავშვები სკოლისაკენ მიემშურებიან.

ტყეში ჩირგვის ქვეშ მძინარე კურდღელმაც ყურები ცქვიტა, გამოვარდა და ბოსტანი-საკენ გაცუნცულდა. ზღვა, მდინარე, ნაკადული მზის სხივებისგან გაბრწყინებულია. ჩიტების ჭიკჭიკი ისმის, ბუღბუღი მზეს და ვარდს უგალობს. მზე ზემოდან დაგვეყურებს და გვიღიმის.

ქეთევან ლომიძე

ი ა

ველად ია გაფურჩქნულა,
ია, თვალეცმცემა.
ბელურები აქლურტულდნენ
იაგ, შენ აქ რა გინდა?
სინარულით ცამდე ავლენ
პაწაწინა ჩიტები,
ღრუბლებში იფანტებიან
ვით პატარა მძივები.



გიორგი გოგილიძე

THE SUN

It was an early spring morning. The sun appeared in the sky with the light of a new day. A cock made a loud sound – “cock-a-doodle-doo!” In the forest a sleeping rabbit felt the hot sun on its back, It opened its eyes and ran quickly to the vegetable garden. The birds sat in the trees and sang sweetly. A nightingale was singing softly about its love. The sea, rivers, springs were sparkling in the early morning sunshine.

My town woke up. People hurried to their work. Happy children went to their schools. And the sun was high in the sky looking down and smiling at us.

Ketevan Lomidze

არწივი და ქორი

არწივი და ქორი დაძმობილდნენ. ქორმა უთხრა - არწი-
ვო, დააკვირდი, ჩვენ ერთი სისხლი გვაქვს, ესე იგი ნათე-
სავეები ვართ.

- რატომ დაასკვენი, საიდან მოგივიდა ეს აზრი? -
იკითხა არწივმა.

- ჩვენ ხომ ორივენი მტაცებლები ვართ, ორივეს მახვი-
ლი თვალი გვაქვს, ბევრი რამ გვაქვს საერთო - მიუგო
ქორმა.

- მართალი ხარ, - უპასუხა არწივმა, - მოდი, გადაგე-
ვიო. ჩვენ ძმები ვართ და ამიერიდან სულ ერთად უნდა
ვიაროთ.

ერთ დღეს ქორი და არწივი სანადიროდ წავიდნენ. უცებ
ორი კურდღელი გადმოხტა ბუჩქებიდან. არწივი დაეშვა,
ორივე კურდღელი კლანჭებში მოიქცია და გაფრინდა.
ქორი დაედევნა არწივს და ემუღარებოდა

- არწივო, გამიყავი ნადავლი, მე ხომ შენი მეგობარი ვარ.
არწივმა ყური არ ათხოვა ქორს და შორს გაფრინდა. არწი-
ვისა და ქორის მეგობრობაც აქ დასრულდა.

გიორგი გოგილიძე



EAGLE AND HAWK

Once an eagle and a hawk became friends. One day
the hawk said: - Eagle, do you know that we are
relatives.

- Why do you think so? - asked the eagle.

- We both are beasts. We were born with keen eyes.
We have much in common. - answered the hawk.

- You are right. Let me hug you, we are brothers.
We are together forever - said the eagle.


One day the friends went on hunting. Suddenly two
rabbits came out of the bushes. The eagle went after
them, caught both rabbits and flew away. The hawk
told him - Let's divide your hunting bag as we're
friends. But the eagle turned out not to remember
about his friend. He flew away and their friendship
ended. The eagle has forgotten that true friendship
is unshakable as friends never betray each other.

Giorgi Goglidze

IMAGINATION

შემოღობა

შემოდგომაზე ფოთლები ჭკნებიან, საბრალო ხეები მარტოდ რჩებიან. თბილი ქვეყნები ჩიტებს ელიან. ისინიც ციდან გვეფერებიან.



თინა უგულავა

* * *

მზე ამოვიდა, გათენდა,
პირისპირ უყურებს ცასა,
იყო სიწყნარე, სიმშვიდე,
უცბად შემოგვიტყის სპარსთა.

ერეკლე ბაგრატიონი

ბუჩი

მე პატარა, კავკასიური ნაგაზი ვარ. ცხოვრებით უკმაყოფილო არ ვყოფილვარ. მყავდა პატრონი, მქონდა სახლი და საკვები. ერთხელ, სერიოზობისას გზა ამეხნა, დავიკარგე. ვერც სახლი ვიპოვე და ვერც ჩემი პატრონი.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი დღე... იმედი დავკარგე, უსახლკარო, მაწანწალა ძაღლი გავხდი. ჩავიცუტუტქე ხის ქვეშ და ჩუმად ავტირდი. უცებ პატარა გოგონა მომიახლოვდა, მომეფერა და მითხრა: “ნუ გეშინია, ბუჩი, სახლში წავგიყვან, მოგივლი, არ მიგატოვებ.”

საოცარი სიბოლო ვიგრძენი გულში. გოგონას მშობლებმაც კარგად მიმიღეს. “ბუჩი” დამარქვეს. მას შემდეგ მეგობრულად ვცხოვრობთ. რა დიდი ძალა აქვს სიკეთეს!

გოგლა კოვზირიძე


BUCHI

I'm a small dog. I was satisfied with my life. I had a master. I had a house and food. One day, walking along the street I lost my way. I couldn't find my master. So, I lost my house too.

The days passed. I became a homeless dog. I sat under a tree and began to cry silently. Suddenly a small girl came to me and said: “Don't cry, I'll take you to my house. We'll be friends, I'll take care of you.”

I felt some strange warmth inside me. The small girl took me home. Her parents met me warmly. They called me Buchi. Now I live with them. I am happy. Kindness is a very strong power!

Gogla Kovziridze



Tina Ugulava


IMPROVE YOUR ENGLISH FRIENDSHIP

Once upon a time there was a boy. His name was Tom. He liked music very much. **At the age of six** he could **play the piano**. But violin was his favourite musical instrument. He had a mother and two small sisters. His mother was ill and he decided to help his family. One morning he **got up** early, took his violin and went to school. After classes he played the violin in the street. He was trying to earn some money.

One day I was coming from school and quite unexpectedly heard beautiful music. I stopped and saw Tom. Suddenly some boys came and **made fun of him**. I became angry. I came up to the boy and said:

“Hi, I'm Tina. Don't **listen to** those boys, your music is wonderful.”

“Thanks “, answered the boy, “I'm Tom. **Nice to meet you.**” I visited Tom for several times. Tom was very kind and friendly. He had **a lot of** friends. They were always with Tom and helped him. Soon Tom's mother recovered. The life **went on** as before. My life has changed since that meeting. I've acquired a new friend. I saw the power of real friendship. **I'm really lucky.**



ანდრო დადიანი



რას არ იტყვიან ბავშვები!

ხუთი წლის ელენეს დაუბუჟდა ფეხი. გაბრაზებულმა მიირბინა ბებოსთან და უბრძანა: “ბებო, სასწრაფოდ მომაშორე ფეხიდან ჭიანჭველები!”

Five-year-old **Elene**'s leg got numb. She ran to her grandma crying: “Granny, I want to get rid of the ants in my leg.”



ოთხი წლის ნუცა საწოლზე ხტუნაობს.
–ნუ ხტუნაობ! - უბრაზდება დედა.
–ეს ჩემი ტერიტორიაა! – პასუხობს გაოცებული ნუცა.

ორი წლის ნუცას მოგონილი მეგობრები ჰყავს – გურამკა კოპსაწელიძე და ნინო მანიაშვილი.

Four-year-old **Nutsa** is jumping on her bed.
– Don't jump! – said Mother.
– Why not? Remember, you told me that this bed is my private area?

Two year old Nutsa had an imaginary friends – Guramka kopsatselidze and Nino Maniashvili



“დედა, დედა, ჯანაშია რომ ხარ ვიცი, მაგრამ შენი სახელი დამავიწყდა. გამახსენე, გეხვეწები” – სთხოვა სამი წლის ქეთიმ დედას.

“Mummy, Mummy, I know that you are Janashia but I have forgotten your name. Please, remind me of it,” asked three-year-old **Keti**.



MY CHILDHOOD DREAMLAND

მოსალოდნელი “კონკურენტის” (დის) დაბადების ამბავი რომ შეიტყო, სამი წლის ლიზი ყველას ამშვიდებდა: “ნუ გეშინიათ, როდესაც სიარულს და ლაპარაკს დაიწყებს, თვითონ წავა აქედან.”

სამი წლის ლიზის თვალი უთამაშებდა. შეწუხებული მივიდა ბებოსთან და უთხრა:
-ბებო, თვალი მისლოკინებს.”

პაპა როინი ლიზის ასწავლის ასოებს. პაპამ თინა ბებოს გასძახა:

-იქნებ, “დედა-ენა” გვეშოვა, იქიდან უკეთ ვასწავლი ბავშვს.”
გაოცებულმა ლიზიმ იკითხა: - პაპა, “ბებო-ენაც” არსებობს?!”



Three-year-old **Lizi** found out about the birth of her sister. She accepted this information with her usual calm telling everybody: “Don’t worry. The moment she starts talking and walking, she’ll herself leave our house.”

Three-year-old **Lizi’s** eye was blinking. She ran to her Granny and said: “Granny, my eye is hiccupping.”

Grandpa was teaching **Lizi** Georgian Alphabet. He asked Grandma: “Can’t you bring me “Deda Ena?” It’s easier to study the alphabet from that book.”

Lizi was surprised. “Is there Grandma-Ena too?” – she asked.



ინგლისური ენის მასწავლებელმა, ქ-მა სოფომ, გადაწყვიტა IV კლასში დადგას სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა.“ ნინი ქურციკაშვილს ფიფქიას როლი შეხვდა.



შეშფოთებული ნინი ეუბნება დამრიგებელს: – მე რა ფიფქია ვარ, არც გარეგნობა მიწყობს ხელს და არც ხასიათი. აი, დედინაცვლის როლი კი მართლაც მომიხდებოდა.

An English teacher has decided to stage “The Snow-White and Seven Dwarves.” **Nini** got the role of the Snow-White. Nini was indignant and said: “Am I a snow-white?! There’s nothing of snow-white in me - neither in my appearance nor in my character. To my mind, I would be an excellent stepmother.”

*მასალა მოამზადეს:
თინა ჩალაძემ, გოგლა კოვზირიძემ და დადი ფანგანმა*

**Translated by:
Tina Chaladze, Gogla Kovziridze and Dadi Phangani**



შეამოწმე შენი ცოდნა!

1. ვის მიაწერენ ქართული ანბანის შემოღებას?
 ა)ფარნავაზ მეფე ბ)დავით აღმაშენებელი გ)თამარ მეფე
2. ვინ დაწერა ლექსი “კრწანისის ყაყაჩოები?”
 ა)გიორგი ლეონიძე ბ)აკაკი წერეთელი გ)ლადო ასათიანი
3. ვინ თარგმნა ივანე კრილოვის იგაგ-არაკი “მგელი და კრავი?”
 ა)ილია ჭავჭავაძე ბ)აკაკი წერეთელი გ)გალაკტიონ ტაბიძე
4. რა არის ფრესკა?
 ა)წიგნის მხატვრობის სახეობა ბ)კედლის მხატვრობის სახეობა
 გ)შენობის მხატვრობის სახეობა
5. რას ნიშნავს სიტყვა “გრაფიკა?”
 ა)ვწერ/ვხატავ ბ)ვთამაშობ გ)ვსწავლობ
6. რა არის სატელიტი?
 ა)კომეტა ბ)ხელოვნური თანამგზავრი გ)ციური ვარსკვლავი
7. რა არის ტელესკოპი?
 ა)ხელსაწყო მნათობებზე დასაკვირვებლად
 ბ)ხელსაწყო ბუნებაზე დასაკვირვებლად
 გ)ხელსაწყო მცენარეებზე დასაკვირვებლად
8. რას უწოდებენ პლანეტა “ვენერას” საქართველოში?
 ა)ცისფერი პლანეტა
 ბ)ცისკრის ვარსკვლავი
 გ)წითელი პლანეტა
9. როდის დაარსდა აბასთუმნის ობსერვატორია?
 ა)1932წ. ბ)1940წ. გ)1980წ.
10. ვინ არის საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორი?
 ა)დავით მაღრაძე ბ)აკა მორჩილაძე გ)ლაშა ბუღაძე



*კითხვარი შეადგინეს:
 გოგლა კოვზირიძემ და ირაკლი ფხაკაძემ*

იცი თუ არა, რომ ...

1. **იანვარი** კალენდარული წლის პირველი თვეა. სახელწოდება “იანვარი” რომაელთა ღმერთის იანუსის პატივსაცემად ეწოდა. მას ორი სახე აქვს და შეუძლია გაიხედოს უკან, ძველი წლისაკენ და წინაც, ახალი წლისაკენ. ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში ამ თვეს “აპნისი” ერქვა.
2. **თებერვალი** კალენდარული წლის მეორე თვეა, შედგება 28 დღე-ღამისაგან, თუ ნაკიანი წელიწადია – 29 დღე-ღამისაგან. სახელწოდება დაკავშირებულია ძველ რომში არსებული განწმენდის რიტუალთან. ქართული წარმართული კალენდრით მას “სარწყუნისი” ჰქვია.
3. **მარტი** კალენდარული წლის მესამე თვეა. სახელი ეწოდა რომაელთა ღმერთის – მარსის პატივსაცემად. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა “შირკანი.”
4. **აპრილი** კალენდარული წლის მეოთხე თვეა. ძველი ქართული წარმართული კალენდრით “იგრიკა” ჰქვია.
5. **მაისი** კალენდარული წლის მეხუთე თვეა. სახელწოდება მომდინარეობს იტალიური მიწის ქალღმერთ მაიას სახელიდან, რომელსაც მაისის პირველ დღეს ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ. ქართული წარმართული კალენდრით ამ თვეს “ვარდობისთვე” ჰქვია.

*მასალა მოამზადეს:
 თინა უგულავამ, ლიზი ქანანაშვილმა და ნიკა შახოვმა*

TRAIN YOUR BRAIN!

1. Who was the first king of Iberia?
a) King Parnavaz b) King Mirian c) David the Builder
2. Who has established the Georgian Alphabet?
a) Queen Tamar b) David the Builder c) King Parnavaz
3. The oldest district of Tbilisi.
a) Vake b) Didube c) Kala
4. How many letters are there in the English Alphabet?
a) 25 b) 26 c) 30
5. What does the Latin word “scribe” mean?
a) write b) read c) draw
6. When do we celebrate Easter?
a) on Tuesday b) on Friday c) on Sunday
7. Where is the manuscript of “Beowulf” kept?
a) London b) New York c) Paris
8. When was the poem “The Song of Beowulf” written?
a) X century b) XII century c) V century
9. The author of Georgian Anthem.
a) David Maghradze b) Aka Morchiladze c) Lasha Bughadze
10. The first month of spring.
a) January b) February c) March



*Prepared by:
Erekle Bagrationi, Andro Kurtskhalia and Irakli Phkhakadze*

DO YOU KNOW, THAT ...

1. **January** is the first month of a year. The name “January” comes from the Roman God, Janus. He had two faces, so he could look backwards into the old year and forwards into the new year. The old Georgian name of January is “**Apnisi.**”
2. **February** is the second month of a year. It consists of 28 days. In a leap-year it consists of 29 days. The name of “February” comes from the ritual of purification in Rome. According to the Georgian pagan calendar its name is “**Sartskunisi.**”
3. **March** is the third month of a year. The name of “March” comes from the Roman God “Mars.” According to the Georgian pagan calendar its name is “**Mirkani.**”
4. **April** is the fourth month of a year. According to the Georgian pagan calendar its name is “**Igrica.**”
5. **May** is the fifth month of a year. The name of “May” comes from the old Italian Goddess of earth. On the first day of May priests made sacrifice. According to the Georgian pagan Calendar its name is “**Vardobistve.**”

*Translated by:
Tina Ugulava, Lizi Kananashvili and Nika Shakhovi*

კროსვორდი

1				2				3				4				5
6							7				8					
							9						10		11	
												14				
12		13														
15										16						17
	18									19						
				20												
														21		
				22				23								
24								25						26		

თარაზულად: 2.წელიწადის დრო 6.გაზაფხულის ყვავილი 7.რამდენი ფერია საქართველოს დროშაზე 8.პლანეტა, რომელსაც საქართველოში “ცისკრის ვარსკვლავს” უწოდებენ 9.ამერიკის პრეზიდენტი 12.ქრისტიანობის სიმბოლო 14. . . . წერეთელი 19.რამდენი წელია საუკუნეში? 20.საქართველოს დედაქალაქი 22.საქართველოს მეფე დავით . . . 24.თბილისის უბანი 25.პირველი მამაკაცი დედამიწაზე 26.მეექვსე საავტორო სკოლის ხალხური სიმღერის ანსამბლი.

შეუულად: 1.ყაიმი 2.სად არის დაკრძალული დავით აღმაშენებელი 3.საქართველოს მეფე 4.საქართველოს ძველი სახელწოდება 5.ფუტკრის სახლი 10.გაზაფხულის ყვავილი 11.თვითნასწავლი ქართველი მხატვარი 13.ავტორი ლექსისა “კრწანისის ყაყაჩოები” 15.მდინარე თბილისში 16.ტაძარი თბილისში 17.ქრისტიანული დღესასწაული 18.კედლის მხატვრობა 21.ქრისტიანობის გამავრცელებელი საქართველოში 23.პირველი ქალი დედამიწაზე.

*კროსვორდი შეადგინეს
ერეკლე ბაგრატიონმა და ანდრო კურცხალიამ*